



**BUSINESS &  
TECHNOLOGY  
UNIVERSITY**

2022

# NEWSLETTER

ՅՅԽՈՒՐՈՒՆ | ԹՅՈՆՆՈՒՆ | ՈՅԵՈՆՆՈՒՆ

## **ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ორგანიზებით მასშტაბური ღონისძიება „Techworking Georgia“ ჩატარდა**

ღონისძიების ფარგლებში სტუდენტური სტარტაპების საგრანტო კონკურსი, Pitch Yourself-სტუდენტების Showcase, Rakuten Viber-ის Keynote თემაზე: Tech Landscape of Georgia და პანელური დისკუსია Fundraising 101 ჩატარდა.

Techworking Georgia-ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ყოველწლიურად უმასპინძლებს, რაც სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და ინვესტორებს ერთმანეთთან დაკავშირებისა და ინფორმაციის გაზიარების საშუალებას მისცემს.

## **“500 ქალი ტექში” პროექტის პირველი ეტაპი დასრულდა**

500 ქალი ტექში მასშტაბური გადამზადების პროექტი საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის კოორდინირებით მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე გადამზადდა 344 ბენეფიციარი.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა: ინგლისური ენისა და ტექნოლოგიების მიმართულებით ინტენსიური კურსები, რეგიონალური ტრენინგები. ბენეფიციარებმა შეასრულეს ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების ტექ დავალებები, გაიარეს მენტორინგი და ბუთქემფი.

პროექტში ჩაერთო 60-მდე უკრაინელი ქალი, ციფრული მარკეტინგის და ტესტერის კურსის ფარგლებში.

## **BTU ჟურნალ „საქართველოს ქალს“ განახლებული ფორმატით გამოცემას**

„საქართველოს ქალი“ – ეს გახლდათ ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული გამოცემა, რომლის პირველი ნომერიც 1923 წლის სექტემბერში დაიბეჭდა.

## კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები, ღონისძიებები, ტრენინგები:

- კვლევითი ცენტრის ინიციატივით, კომუნიკაციების კომისიასთან თანამშრომლობით, სამეცნიერო დისკუსია - "5G ტექნოლოგიები - თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევები" ჩატარდა; აღნიშნული დისკუსიის ფარგლებში, მომზადდა შედეგების კრებული;
- გამოიცა ცირკულარული ეკონომიკის სტუდენტური სამეცნიერო ბანაკის ესსეების კრებული;
- ჩატარდა აკადემიური აფილირებული პერსონალის შუალედური სამეცნიერო კვლევების მოხსენებები/პრეზენტაციები;
- ტრენინგი - აკადემიური პერსონალისთვის კვლევების დაფინანსების პროგრამის შესახებ;
- ტრენინგი უნივერსიტეტის პროფესორებისთვის და მკვლევარებისთვის: "კვლევითი თემის შერჩევა და საგრანტო პროექტის წარდგენის მეთოდოლოგია";
- სამეცნიერო დისკუსია - სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია და ტექნოლოგიური ტრანსფერები - აშშ გამოცდილება და ბტუ-ს შესაძლებლობები;
- კონსულტაციები BTU-ს დოქტორანტების საკვლევ თემატიკასთან და პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით;

## კარიერული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები:

- პირველი საერთაშორისო დასაქმების ფორუმი:
  - წარმოდგენილი ვაკანსიების რაოდენობა - 75;
  - მონაწილე სტუდენტების რაოდენობა - 150;
  - ფორუმის დასრულების შემდგომ სხვადასხვა სახის შეთავაზება მიიღო 20-მა სტუდენტმა.
- დასაქმების ფორუმი DevOps სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის;
- Job Shadowing - პროგრამა;

## BTU აბიტურიენტებისა და საავიზიტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის-უფასო ტრენინგები, გაღებულა და კონკურსები

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ორგანიზებით, დაიგეგმა საინფორმაციო ვიზიტები საქართველოს 10 ქალაქში. (თბილისი, რუსთავი, ბორჯომი, მცხეთა, გორი, ხაშური, თელავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი) რომლის ფარგლებშიც, აბიტურიენტებისთვის ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების მოსამზადებელი ტრენინგები.
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებისთვის ჩატარდა საერთო სამაგისტრო გამოცდის მოსამზადებელი ტრენინგები - სრული დაფინანსებით;

- აბიტურიენტებისთვის - გადამზადების სასერტიფიკატო კურსი ციფრულ მარკეტინგში - სრული დაფინანსებით;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 3 ღია კარის დღე მაგისტრანტობის კანდიდატებისა და აბიტურიენტებისთვის;
- BTU-სა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ორგანიზებით, ჩატარდა მათემატიკის ყოველწლიური ოლიმპიადა აბიტურიენტებისა და მათი მასწავლებლებისთვის

## **პროექტები, ვაზინარები, ვორკაუფები, ტრენინგები, მასტერკლასები, პანელური დისკუსიები, ჰაკათონები და სხვა აქტივობები სტუდენტებისთვის, აკადემიური და აღიზნისტრასიული კარსონადისთვის, ბანეფისციარებისთვის:**

- თიბისი კაპიტალთან ერთად, ყოველკვირეულად განახლებადი მაკროეკონომიკური რეპორტის მიმოხილვა;
- შეხვედრა ლაშა დავითაძესთან: „ლიდერობა და ნდობაზე დაფუძნებული გუნდი“;
- მსოფლიო ბესტსელერი წიგნის „Principles for Dealing with the Changing World Order“ განხილვა და საჯარო დისკუსია;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ჟან მონეს პროექტის ფარგლებში ფართომასშტაბიან კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო ფორუმი;
- AI LAB-ის ფარგლებში, ტრენინგი - “ხელოვნური ინტელექტი: შესაძლებლობები და სტანდარტები”;
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, ქუთაისში სტარტაპების პრეაქსელერაციის პროგრამა;
- სტარტაპ EKIMO-სთან პარტნიორობით HealthTech ჰაკათონი;
- საერთაშორისო კონფერენცია - Perspectives on Human Behavior in the Cyber-dominated Environment;
- აშშ-ის საელჩოს საინფორმაციო დღე;
- გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის - DAAD-ის საინფორმაციო დღე;
- საქართველოს საპენსიო სააგენტოს დირექტორისა და უფროსი საინვესტიციო ოფიცერის საჯარო დისკუსია თემაზე - „ინვესტიციები“;
- საქართველოს ბანკთან პარტნიორობით, შეხვედრა „როგორ გავხდეთ Apple/Tesla/Google და სხვა კომპანიების აქციონერები?“
- Sweeft Digital-ის ორგანიზებით ჩვენი სტუდენტებისთვის წამყვანი ტექნოლოგიური მიმართულებით სრულად დაფინანსებული ვორქშოფები;
- ვებინარი - „EU-ს წევრობის კანდიდატის სტატუსი და პერსპექტივები საქართველოსთვის“;

- ვებინარი - „თავისუფლება და ეკონომიკური თავისუფლება - კერძო საკუთრება, როგორც თავისუფლების გარანტი“;
- შეხვედრა Microsoft-ში დასაქმებულ BTU-ს სტუდენტ დავით დანელიასთან;
- NFT კონფერენცია;
- Startup talk-ის ფარგლებში შეხვედრა სტარტაპ OMOFOX-თან;
- შეხვედრა სილიკონ ველის მარკეტინგისა და კომუნიკაციების სპეციალისტთან, ნიკოლა ერისთავთან;
- Glovo-ს დამფუძნებლის, საშა მიშუს შეხვედრა სტუდენტებთან;
- ბავშვთა დაცვის დღეს BTU-ში რობოტიქსის კურსის პრეზენტაცია, საბავშვო წიგნების გამოფენა გაყიდვა, ლიბერკიდსის სერიის ახალი წიგნის პრეზენტაცია, ხატვის, ილუსტრაციებისა და მინიატურული წიგნების შექმნის ვორქშოფი და გათამაშება;
- რობოტიქსის კურსი მე-7 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის;
- ჩეხური კომპანია UNICO AI, United Nations Development Programme - UNDP-ის მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტთან და რუსთავის ინოვაციების ჰაბთან თანამშრომლობით, პროექტს - „ინოვაციების ლაბორატორია“ ახორციელებს.

## BTU-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის წარმატება

- ჩვენი გუნდის წევრები, პარტნიორები და ნომინირებული კანდიდატები Forbes 30 Under 30 კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ;
- BTU-ს სტუდენტებმა და ლექტორებმა GITA-ს 150,000, 100,000 და 30,000 ლარიანი დაფინანსება მოიპოვეს;
- ასოცირებული პროფესორის, ლადო სირდაძის, სწავლების მეთოდებმა საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა;
- BTU-ს სტუდენტებმა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ჩართულობით, პოლონეთში, Perspektywy Women in Tech-ის სამიტში მიიღეს მონაწილეობა;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ დაფუძნებულმა სტარტაპმა Wempler პირველი არხის პროექტ შარქ თენქ საქართველოს ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა;
- BTU-ს სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ლატვიაში, ევროპის სოლიდარობის კორპუსის საზაფხულო სკოლაში "Energy around US";
- BTU-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სტუდენტმა, დავით დანელიამ ,, Microsoft-ში Test Automation Engineer-ის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა;
- BTU-ს სტუდენტი მარიამ მაისურაძე Visa-სა და Forbes Woman Georgia-ს ერთობლივი კონკურსის, She's Next, ფინალში, სამ მენარმე ქალს შორის მოხვდა;
- BTU-ს აფილირებული პროფესორი, მაია მელიქიძე მეორე ვადით ERRA-ს (Energy Regulators Regional Association) ხელმძღვანელად აირჩიეს;
- იტალიის ინოვაციებისა და კვლევის დღეს გამართული კონკურსის, STEM STUDY VISIT TO ITALY-ს გამარჯვებულები ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტები: მარიამ მაისურაძე და დავით დანელია გახდნენ. გამარჯვებული კონკურსანტები იტალიის ინოვაციების ფონდი COTEC-ის და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანამშრომლობით გამოვლინდნენ.

- BTU-ს მიერ გადამზადებულმა ბენეფიციარებმა iOS-ის მიმართულებით საერთაშორისო სერტიფიკატები მოიპოვეს;
- BTU, ბრიტანეთის საბჭოს პროექტ შემოქმედებითი ნაპერწკალის პროგრამის ფარგლებში, ქართულ-ბრიტანულ სტარტაპებს ბრიტანეთის ბაზარზე გასვლასა და საერთაშორისო მასშტაბით განვითარებაში შეუწყობს ხელს.

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონიანვე უნივერსიტეტების პროფესორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, BTU-ს და მონაწილე უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის და ლექტორებისთვის, სწავლების კვირეული გამართეს.

ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სწავლების კვირეული რეგიონში მეორედ, BTU-ში ჩატარდა.

სპეციალური მოდული: NATO-ს სამეკავშირეო ოფისის მოხსენება, NATO-საქართველოს ურთიერთობასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენები.

მონაწილე ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბულგარეთი, თურქეთი, ინდოეთი, საქართველო.

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მხარდაჭერით საერთაშორისო კონფერენცია Globalize EU Conference პარიზში ჩატარდა;

- BTU-Microsoft თანამშრომლობის ფარგლებში უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს მიენიჭა MSLE training პლატფორმაზე Microsoft-ის ნებისმიერ ორ სერტიფიცირებაზე უფასო და უვადო ვაუჩერებზე წვდომა.

- BTU-ს ბიბლიოთეკაში დამუშავდა და ფონდში განთავსდა 139 ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსი; გაციფრულდა და ელექტრონულ კატალოგში აისახა 32 ნაბეჭდი რესურსი.

- საანგარიშო პერიოდში გაიცა ბაკალავრის 200 -მდე დიპლომი.

- BTU-ს აკადემიურ გუნდს შემოუერთდა 20 ახალი აკადემიური და 2 ადმინისტრაციული პერსონალი.

- BTU-სა და შარქ თენქ საქართველოს შორის არსებული პარტნირობის ფარგლებში, მეორე სეზონის მონაწილე 10 ქალი მენარმესთვის შედგა მენტორინგის პროგრამა. პროგრამა შედგებოდა ისეთი თემებისგან როგორცაა: სტარტაპის ბიზნეს მოდელის გამართვა, ბიზნეს გეგმის დაწერა, ფინანსური მოდელის დაგეგმვა, ბრენდის სტრატეგია და კომუნიკაცია, ინვესტორებთან ურთიერთობა, UX/UI, ციფრული მარკეტინგი, კიბერუსაფრთხოება, იურიდიული საკითხები.

- Big Idea Challenge - 3 იდეა გადავიდა ფინალში Digital Technology კატეგორიაში.

- დასრულდა BTU-ს და ჰენლის ბიზნეს სკოლის სტუდენტების ერთმანეთთან დაკავშირების და ერთად მუშაობის პროცესი, რომელიც მოიცავდა პრე-აქსელერაციის პროგრამას და დემო დღეს. დემო დღის ფარგლებში მონაწილეებმა წარადგინეს საკუთარი იდეები და მიიღეს რეკომენდაციები პარტნიორებისგან.

### ახალი საგრანტო პროექტები

- AgriPreneurship Accelerator Program, USAID Agriculture Program; GITA-ს ქუთაისის პრე-აქსელერაციის პროგრამა; BOOST: Women Innovators პროექტით "500 Women in Tech", UNDP; University Capacity Building Program (UCBP), American Councils for International Education.

## საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

გაფორმდა ახალი ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება მსოფლიოს შემდეგ უნივერსიტეტებთან:

- გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი;
- უკრაინის გლობალური უნივერსიტეტი, უკრაინა;
- ბიზნესისა და ფინანსების სკოლა, ლატვია;
- დასავლეთ ტიმიშოარას უნივერსიტეტი, რუმინეთი.

ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში უნივერსიტეტის 4 სტუდენტი წარმატებით აგრძელებს სწავლას პარტნიორ გერმანულ, ლიეტუვურ და პორტუგალიურ უნივერსიტეტებში.

გაფორმდა ახალი ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება მსოფლიოს შემდეგ უნივერსიტეტებთან: გრანადის უნივერსიტეტი, ესპანეთი; უკრაინის გლობალური უნივერსიტეტი, უკრაინა; ბიზნესისა და ფინანსების სკოლა, ლატვია (ერაზმუს+); დასავლეთ ტიმიშოარას უნივერსიტეტი, რუმინეთი (ერაზმუს+)

**ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში** უნივერსიტეტის 2 სტუდენტი აგრძელებს სწავლას პარტნიორ გერმანულ და იტალიურ უნივერსიტეტებში.

გამოცხადდა სტუდენტური კონკურსი და შეირჩა 5 სტუდენტი ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაზე შემდეგ უნივერსიტეტებში: კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია; კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია.

**ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამები** უნივერსიტეტის 4 სტუდენტი აგრძელებს სწავლას პარტნიორ გერმანულ, ლიეტუვურ და პორტუგალიურ უნივერსიტეტებში.

გამოცხადდა სტუდენტური კონკურსები და შეირჩა 9 სტუდენტი ნაწილობრივ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამებზე შემდეგ უნივერსიტეტებში: ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა; კიოლნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გერმანია; ვიურცბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია; აშაფენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია; ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია; პოზნანის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი, პოლონეთი.

**ორი სადიპლომო პროგრამების ფარგლებში** უნივერსიტეტის 6 სტუდენტი აგრძელებს სწავლას პარტნიორ ჰოლანდიურ და პორტუგალიურ უნივერსიტეტებში.

გამოცხადდა კონკურსები და შეირჩა 5 სტუდენტის კანდიდატურა ორი სადიპლომო პროგრამების სტიპენდიისთვის - ბრაგანჩას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (პორტუგალია) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე.

### საზაფხულო სკოლები

ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულებების BTU-ს 17 სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლებში: Perspektywy Women in Tech Forum, პოლონეთი. STEM Study Visit, იტალია, Energy Around Us, ლატვია

ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში დაიგეგმა ტრინაციონალური კავკასიის საზაფხულო სკოლა (2-12 სექტემბერი) კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტსა და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად.

25 პერსონალის ვიზიტი გაცვლითი პროგრამების/პროექტების ფარგლებში შემდეგ ევროპულ უნივერსიტეტებში:

- ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია
- რომის საპიენცას უნივერსიტეტი, იტალია
- UCBP, აშშ
- ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი, ბელგია
- კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
- დასავლეთ ტიმიშოარას უნივერსიტეტი, რუმინეთი
- ტუშას უნივერსიტეტი, იტალია
- ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლა, ლატვია
- რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, პოლონეთი
- რჟეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი
- პორტოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია
- Unico AI, ჩეხეთი
- Expanding International Education through Regional Knowledge Exchange Azerbaijan and Georgia

### **BTU- ს საქმიანობის პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია**

- მონაწილეობა აშშ-ს საელჩოს მიერ ორგანიზებულ University Capacity Building/Internationalization კონფერენციაში საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკების გაზიარების მიზნით ქალაქ ბაქოში;
- UNDP BOOST: Women Innovators-ის აქსელერაციის 12 კვირიან პროგრამა;
- ლოს ენლაკესის (ესპანეთი), გრანადის უნივერსიტეტის (ესპანეთი), ბიზნესის ეკონომიკისა და ფინანსების სკოლის (ლატვია), რჟეშოვის უნივერსიტეტის (პოლონეთი), ცვიკაუს (გერმანია), ნეაპოლის ფედერიკო II-სა და ადგილობრივი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების დელეგაციის (იტალია) დელეგაციების ვიზიტი BTU-ში;
- მონაწილეობა ამერიკული საბჭოების ვებინარების სერიაში: "უნივერსიტეტების შესაძლებლობების განვითარების პროგრამა" (UCBP) აშშ-ში;
- მონაწილეობა ტუშას უნივერსიტეტის პერსონალის საერთაშორისო კვირეულში თანამშრომლობის გამყარებისა და ახალი პროექტების ინიცირების მიზნით;

### **ერაზმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტი - HEIn4**

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში კოორდინირებს/ადმინისტრირებს უწევს ინსტიტუციური განვითარების ფართომასშტაბიან პროექტს-HEIn4:

- საერთაშორისო ოფისმა მოამზადა პროექტის მეორე ბროშურა/პუბლიკაცია: "ქართული უნივერსიტეტების გამოცდილება"
- მომზადდა პროექტის მეხუთე საინფორმაციო ბროშურა;
- მომზადდა პროექტის მეხუთე ხარისხის ამსახველი ანგარიში;
- მომზადდა ინდუსტრიული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ცვლილებების საგნის სილაბუსი ინდუსტრიისთვის;
- ინდუსტრია 4.0-ის ფარგლებში დაიგეგმა და დაიწყო რობოტიქსის ტრენინგი სკოლის მოსწავლეებისთვის;
- მომზადდა ინდუსტრია 4.0 ლაბორატორიის ფარგლებში ჩატარებული და დაგეგმილი აქტივობების ამსახველი პრეზენტაცია;
- განხორციელდა 2 ფიზიკური სასწავლო/საკოორდინაციო ვიზიტი ლუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტსა (ბელგია) და პორტოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (პორტუგალია) საუკეთესო პრაქტიკებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- დაიგეგმა დამატებითი ფიზიკური საკოორდინაციო/სასწავლო ვიზიტი სტოკჰოლმის ტექნოლოგიური სამეფო ინსტიტუტში, შვედეთში;
- მომზადდა პროექტის ფინანსური ანგარიშები, თაიმშითები, დეკლარაციები.



## მიმდინარე პროექტები

ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროექტები საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში კოორდინირებს/ადმინისტრირებს უწევს 22 მიმდინარე პროექტს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლების მიმართულებით პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

### ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტი - PEU-C-E

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ყოველდღიურ ადმინისტრირებას უწევს პროექტის ვებ-გვერდს და აწარმოებს კომუნიკაციას ბრიუსელის სათაო ოფისთან პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;
- მომზადდა პროექტის აქტივობების ამსახველი ნარატიული ანგარიშები.
- მომზადდა პროექტის აქტივობების ამსახველი ფინანსური ანგარიშები.
- გაიგზავნა ფინალური რეპორტი ბრიუსელში.
- დამტკიცდა ფინალური ანგარიში ბრიუსელის მხრიდან.

### ერაზმუს+ ჟან მონეს პროექტი - EU-Energy-SSDP

- მომზადდა პროექტით გათვალისწინებული 2 სილაბუსი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის:
- EU Energy Security Policies
- Renewable Energy Policies in EU and Georgia
- მომზადდა პროექტით გათვალისწინებული სემონური სკოლის სილაბუსი სტუდენტებისა და თემატიკით დაინტერესებული გარე პირებისთვის:
- “ევროპის კავშირი ენერგოსაფრთხოებისა და განახლებადი ენერჯისთვის”

### ინდივიდუალური კონსულტაციები

- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია 300 სტუდენტს;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია 80 ლექტორს;
- კარიერული განვითარების ცენტრმა, ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია 100 კურსდამთავრებულს;
- კარიერული განვითარების ცენტრმა, ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია კონსულტაცია გაუწიეთ 300 სტუდენტს;
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა, ინდივიდუალური კონსულტაცია გაუწია 350 ბაკალავრიატის პროგრამის სტუდენტს და 120 მაგისტრანტს.

[btu.edu.ge](http://btu.edu.ge)